



წმინდა სინოდის წევრების მისალოცი ადრესი უწმინდეს პატრიარქ კირილეს აღსაყდრების 15 წლისთავთან დაკავშირებით



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს აღსაყდრების მეთხუთმეტე წლისთავი მიულოცეს.

მის უწმინდესობას, უწმინდეს კირილეს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ, უწმინდესო მეუფევ და მონყალე მამაო!

ნება გვიბოძეთ, პირადად თქვენთვის და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სისავსისთვის ამ საზეიმო და სულიერად მნიშვნელოვან დღეს, გულითადად მოგესალმოდეთ და მოგილოცოთ ღირსშესანიშნავი თარიღი – მოსკოვის საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრების 15 წლისთავი.

ღვთის ყოვლადსახიერი განგებულებით და ჩვენი ეკლესიის წმინდა ადგილობრივი კრების გამორჩევით, ათწლიანხვედრის წინ თქვენ მოწოდებულ იქენით სანინამძღვრო მსახურებაზე.

ინტრონიზაციის იმ ღირსსახსოვარ დღეს *განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად* (მთ. 2:10) ეკლესიის მილიონობით ერთგული შვილის გულგებმა, რამეთუ უფალმა *აღამაღლა რჩეული ერისაგან მისისა* (ფს. 88:20), – აიყვანა რა მღვდელმსახურების უმაღლეს საფეხურზე მამაკაცი ძლიერი და ღირსეული, განბრძნობილი და ტალანტებით უხვად დაჯილდოებული. თქვენ კი, ვინც ეს ხვედრი მიიღეთ, გელოდათ, გეტვირთათ და გეტარებინათ პატრიარქობის მძიმე ჯვარი, რასაც თქვენ მაშინ მთელი ეკლესიის ლოცვით ამონებდით ღვთისა და ხალხის წინაშე თავმდაბლობითა და წინამძღვარზე ზეგარდამო მოვლენილი მაღლმოსილი დახმარების სასოებით.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა თქვენი სიტყვები. განვილილ წლებში თქვენ მოგიხდათ სრულად გვერდნოთ, თუ რამდენად მძიმე და საპასუხისმგებლოა პირველიერარქის მოღვაწეობა, გონებისა და ნებისყოფის რაოდენ ძალისხმევას მოითხოვს, რაოდენი თავდადებითი შრომაა ყოველდღიურად საჭირო, რომ მუდმივად სარგებელი მოუტანო წმინდა ეკლესიას.

ახლა, როდესაც თქვენ გიყურებთ, რომელიც დგახართ იმავე წმინდა ადგილზე და ქებას აღუვლენთ ყოველგვარი სიკეთის მომნიჭებელ ღმერთს, ჩვენ შეგვიძლია სიხარულით და მაღლიერებით დავამონმოთ: ყველაფერი, რაც თქვენ, სამღვდლოებასთან და სასულიერო დასსთან ერთად შესძელით განგებორციელებინათ განვილილი თხუთმეტი წლის განმავლობაში, მართლაც საოცარია. შთამბეჭდავია არა მხოლოდ ციფრები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებზეც დიდხანს შეიძლება გველაპარაკა, არამედ, ასევე, როგორც ეპარქიული, ისე სამრევლო ცხოვრების ყოველმხრივი განვითარების დინამიკა.

ღმერთმა განაჩინა საეკლესიო ხომალდის საჭესთან თქვენი დგომა იმ დროს, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ძალისხმევის გაერთიანება – მწყემსმთავრებისა და მწყემსებისა, მონაზვნებისა და ერისკაცებისა – იმ დიდი მისიის ერთობლივი და მაქსიმალურად ნაყოფიერი შესრულებისთვის, რომელიც ეკლესიას დაუწესა მისმა დამფუძნებელმა და თავმა იესო ქრისტემ – აცხოვნოს, განანათლოს და განწმიდოს ყოველი ადამიანი მომავალი სოფლად (ინ. 1:9). სწორედ თქვენ, თქვენო უწმინდესოებავ, *გაძლიერებულმა უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისითა* (ეფეს. 6:10), შესძელით, ახალი მძლავრი იმპულსი მიგეცათ ჩვენი ეკლესიის საქმიანობის ყველა მიმართულებით განვითარებისთვის.

დღითიდღე, თქვენი დამახასიათებელი სკრუპულოზობით, თქვენ იკვლევთ თანამედროვეთა რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალგვარ საკითხებს, აღნიშნავთ პრიორიტეტულ მიზნებს, წყვეტთ აქტუალურ პრობლემებს, იძლევთ ბრძნულ და ფასეულ მითითებებს და, რაც ყველაზე მთავარია, გამბედაობისა და შეუპოვრობის, რწმენისა და ერთგულების, შრომისა და პასუხისმგებლობის პირად

მაგალითს იძლევა. თქვენთვის არ არის და არც არასოდეს ყოფილა რაიმე უფრო მნიშვნელოვანი და ამაღლებული, ვიდრე არის საღმრთო მსახურების აღსრულება, ლოცვისა და ვედრების აღვლენა თქვენი მზრუნველობისადმი რწმუნებული ადამიანებისთვის, სამადლობელი უსისხლო მსხვერპლშენიშვნა ყოველთა და ყოვლისათვის, მოუღლეელი და მგზნებარე ქადაგება ქრისტეს ჭეშმარიტების სიტყვისა ახლობლებისა და შორეულებისთვის.

ყოველივე ამას და კიდევ სხვა მრავალს თქვენ ასრულებთ მზრუნველობითა და დაუოკებელი გულმოდგინებით, და მსახურებისთვის აღგვირავთ ჩვენც – თქვენს თავმდაბალ მორჩილებსა და თანამუშაუბებს, რომლებიც ვცდილობთ, საკუთარი ძალებისა და უნარებისამებრ ხელი შევიწყოთ თქვენ თქვენი გეგმების განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია სახარებისეული გზავნილების აქტუალიზაციაზე ყველასთვის და თითოეულისთვის.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ნება მოგვეცით, დაგარწმუნოთ თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, ჩვენს უცვალებელ სურვილში, ვიპრობოთ თქვენი ბრძნული მამობრივი წინამძღოლობით, რათა ჩვენი კრებსითი მოღვაწეობა შემდგომშიც იყოს ღვთისათვის სათნო, მაცხოვრებელი და ნაყოფიერი.

დაე, ცისა და ქვეყნის მონყალე უფალმა კვლავაც განაახლოს და აღავსოს თქვენი ძალები საღვთო მადლისა და სულიწმიდის ნიჭის გარდმოვლენით, შეგენიოთ დიდ სანინამძღვრო მსახურებაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ და ჯანმრთელად და მშვიდობიანად გამყოფოთ მრავალი წელი.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები

მოსკოვი, 2024 წლის 1 თებერვალი

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/91321/>